თბილისის “დინამო” გავიდა ნახევარფინალში

(კიევი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

30 აგვისტოს, კიევში, ეჟოვის სახ. სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ **თბილისის “დინამოს” და სტალინოს “სტახანოვეცის”** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

პირველი ტაიმის მე-28 წუთზე თბილისის დინამოელმა პაიჭაძემ გახსნა ანგარიში – 1:0.

პირველი ბურთის გატანას “სტახანოვეცის” მოთამაშეებმა ენერგიული თამაშით უპასუხეს. მე-35 წუთზე მათ გაიტანეს ერთი ბურთი.

ტაიმი დამთავრდა ფრედ – 1:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელებმა გააძლიერეს ტემპი. მე-15 წუთზე გავაშელის მიერ მოწოდებული ბურთი (ამ დღეს თამაშობდა მარცხენა გარემარბად) უნაკლოდ გამოიყენა პაიჭაძემ და გაიტანა მე-2 ბურთი. მე-26 წუთზე გარღვევაზე გავიდა ჯეჯელავა, რომლის მიერ მოფიქრებულად მიწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა გავაშელმა და გაადიდა ანგარიში. მე-28 წუთზე პაიჭაძეს 40 მეტრიანი გარტყმით გააქვს მეოთხე ბურთი, რის შემდეგ მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა. მატჩი დამთავრდა “დინამოს” გამარჯვებით – 4:1.

ამრიგად თბილისის “დინამო” გავიდა ნახევარფინალში. 6 სექტემბერს თბილისელები ლენინგრადში ჩაატარებენ ნახევარფინალურ მატჩს ამავე ქალაქის “კრასნაია ზარიასთან”.

“მუშა”, 31 აგვისტო, 1938 წ.